ისტორიული არქიტექტურული კვლევა

ივ. ჯავახიშვილის ქ. №62



თბილისი
2023, დეკემბერი

ივ. ჯავახიშვილის (ყოფ. ნიკოლოზის, ყოფ. კალინინის) ქუჩა ისტორიული თბილისის ერთ-ერთი ძირითადი არტერიის, - აღმაშენებლის (მიხეილის გამზირის) მიმდებარე ქუჩათა ქსელის შემადგენელია.

XVIII ს. ტერიტორია, რომელზედაც დღეს გამზირი არსებობს – ეკალ-ბარდებით იყო დაფარული. 1800წ. ქალაქის გეგმაზე განაშენიანებული იყო მხოლოდ ვორონცოვის მოედნის ნაწილი, რომელსაც სოფ. კუკია უერთდებოდა. (სოფ. კუკია დაახლოებით იქ თავდებოდა, სადაც ახლა მარჯანიშვილის ქუჩა გადის).



ამ მიწების აქტიური ათვისება, მხოლოდ 1818 წლიდან გერმანელ კოლონისტთა გადმოსახლების დროიდან იწყება. სწორედ გერმანელებმა კეთილმოაწყვეს ეს ტერიტორიები, გამოიყვანეს სარწყავი არხი და გააშენეს ბაღები და ბოსტნები. გერმანელები გახდნენ თბილისის ბაზრებში ხილისა და ბოსტნეულის მთავარი მომწოდებლები. განსაკუთრებით აქტიურად გაშენდა მიხეილის პროსპექტი ვერის ხიდის (ახ. გ. ტაბიძის ხიდის) აგების შემდგომ. 1860-იანი წლებისთვის ეს ტერიტორია ჯერ კიდევ აქტიურად იყო გამწვანებული გერმანელთა ბაღებით, რომელთა ფრაგმენტები შემოგვრჩა ყოფ. ფილარმონიის (გოფილექტის) ვარდების (გორკის) არტოს და სხვა ბაღების სახით.

ნოი ტიფლისის, იგივე ახალი თბილისის კოლონია სოფელ კუკიის ტერიტორიაზე დაარსდა, რაც დღეს აღმაშენებლის გამზირსა და მის პარალელურ ქუჩებს ემთხვევა. ალექსანდერსდორფელი გერმანელებისგან განსხვავებით, აქ ხელოსნები დასახლდნენ და მათ მხოლოდ საკარმიდამო მიწები დაურიგეს. ნოი ტიფლისის გერმანელები სხვადასხვა ატელიეებს და სახელოსნოებს ხსნიდნენ. მაგალითად, მე-19 საუკუნის ბოლოს მეიერების ოჯახი დღევანდელი აღმაშენებლის გამზირზე სარიტუალო მომსახურების ბიზნესს ფლობდა. როგორც ცნობილია, ოჯახი თავად ამზადებდა სარიტუალო აქსესუარებს და შენობის პირველ სართულზე, მაღაზიაში ჰყიდდა. ისინი ასევე ფლობდნენ აფთიაქსა და სავაჭრო სახლსაც.



არქიტექტურული თვალსაზრისით, ნოი ტიფლისისა და ალექსანდერსდორფის სახლების სტილი ერთი იყო. ორივე დასახლებაში გავრცელებული იყო ერთსართულიანი სახლები მაღალი სახურავებით, რომელშიც ფართო სხვენი იყო მოთავსებული.



ახალი თბილისის დასახლებაში სახლებს ბაღები ერტყა, სადაც ხეხილს, ვენახსა და ყვავილებს ახარებდნენ. ორ რიგად განლაგებულ ერთსართულიან სახლებს შორის ფართო გზა გადიოდა, რომელთაგან მთავარი კუკიის გზა იყო. მას 1899 წლიდან მიხეილის გამზირი ეწოდა. ერთმანეთის პარალელური რიგები მცირე მონაკვეთებით იყო შეერთებული. უბნის დღევანდელი
ქუჩათა ქსელი ზედმიწევნით ზუსტად მიჰყვება გერმანელი კოლონისტების ბაღების მოხაზულობას.

იმპერატორის მხრიდან მხარდაჭერის მიუხედავად, პირველ წლებში კოლონისტები მძიმე სოციალურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ – უჭირდათ აქაურ კლიმატთან შეგუება, ებრძოდნენ ეპიდემიასა და მოუსავლიანობას.

შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა ხელისუფლებამ და მიუხედავად შეპირებული რწმენის თავისუფლების გარანტიებისა, რელიგიური პოლიტიკა შეცვალა.

იმპერიისა და გერმანული თემის დაფინანსებით, 1894 წელს ნოი ტიფლისის დასახლებაში, დღევანდელი მარჯანიშვილის მოედანზე, წმინდა პეტრესა და პავლეს ლუთერული ტაძრის მშენებლობა დაიწყო. სამი წლის შემდეგ ის საზეიმოდ გაიხსნა და პასტორად რიჰარდ მეიერი აკურთხეს. ნეოგოთიკური სტილის ტაძრის პროექტი გერმანელ არქიტექტორს, ლეოპოლდ ბილფელდს ეკუთვნოდა. აღსანიშნავია, რომ მისივე აგებულია თბილისის ქაშვეთის ეკლესია. სწორედ “კირხედან” მოდის მარჯანიშვილის ქუჩის ძველი სახელწოდება “კიროჩნაია”.



მეორე სამამულო ომის დაწყების წინ, თბილისის გერმანული კოლონია სტალინის რეპრესიების მსხვერპლი გახდა. გერმანლები მასიურად გადაასახლეს ციმბირისა და ყაზახეთის დაუსახლებელი ადგილებში, ხოლო დრევანდელი მარჯანიშვილის მოედნის მიმდებარედ მდგარი გერმანული ლუთერანული ეკლესია ააფეთქეს



არქიტექტურული განაშენიანებიდან მიხეილის გამზირზე და მიმდებარედ აღსანიშნავია არქ. ალ. ზალცმანის კათოლიკური ეკლესია, სასტუმრო „ვეტცელი" – არქ. ბილფელდი, კინოთეატრი „აპოლო", მარჯანიშვილის სახ. თეატრი ყოფილი „სახალხო სახლი" რეალური სასწავლებელი - უშ. ჩხეიძის ქუჩაზე და სხვა ძალზედ მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლები, რომელთა უმეტესობა თბილისში მოღვაწე სახელგანთქმული არქიტექტორების ნახელავია.



„1866 წლისთვის თბილისში 4000-მდე კათოლიკე ცხოვრობდა. ერთადერთი კათოლიკური ეკლესია მრევლს ვეღარ იტევდა და ახალი, 600-კაციანი ტაძრის აშენება გადაწყდა. ეკლესია რომაულ-კათოლიკური მრევლის მამასახლისის, ქველმოქმედ კონსტანტინე ზუბალაშვილის დაკვეთით აიგო. კათედრალის არქიტექტორი თბილისში მოღვაწე გერმანელი ალბერტ ზალცმანი იყო, რომელმაც ტაძრისთვის ადრინდელი ბაროკოს სტილი შეარჩია.

ეკლესიის მშენებლობა პოლონელ და ქართველ კათოლიკეთა ფინანსური დახმარებით 1877 წელს დასრულდა. ამ დროს, პოლონელებისა და ქართველების გარდა, მრევლის წევრები კათოლიკე გერმანელებიც იყვნენ. ახალი ტაძრის არქიტექტურამ თანამედროვეთა დიდი მოწონება დაიმსახურა. კურთხევა კი პომპეზურად აღინიშნა.

მრევლისთვის ეკლესია საზოგადოებრივი ცენტრის ფუნქციასაც ითავსებდა - ტაძართან სამრევლო სკოლა და ბიბლიოთეკა მოეწყო. ქვეყნის გასაბჭოების შემდეგ, სხვა ეკლესიების მსგავსად, წმინდა პეტრესა და პავლეს კათოლიკურ ტაძარსაც დაემუქრა დახურვის საშიშროება, თუმცა ქირის გადახდის სანაცვლოდ კათოლიკურ მრევლს ეკლესიით სარგებლობის უფლება შეუნარჩუნდა.



1993 წელს გაჩენილმა ხანძარმა და ჩაქრობისას უხვად დასხმულმა წყალმა ეკლესიის ინტერიერი დააზიანა. 2009 წელს პოლონელი სპეციალისტების მონაწილეობით ეკლესიაში საკონსერვაციო სამუშაოები ჩატარდა.

წმინდა პეტრესა და პავლეს ტაძარი ერთ-ერთია თბილისში მოქმედი ორი კათოლიკური ეკლესიიდან და მასში ორგანის თანხლებით წირვა-ლოცვა ყოველკვირეულად იმართება.“

georgia.travel/კა/წმინდა-პეტრესა-და-პავლეს-კათოლიკური-ეკლესია.

საკვლევი ობიექტის მიმდებარედ რამდენიმე ისტორიული შენობა მდებარეობს, თუმცა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი ამჯერად მხოლოდ ივ. ჯავახიშვილის №58-ს გააჩნია. ორსართულიანი ამპირული სტილის ნაგებობა უხვად დეკორირებული ფასადით გამოირჩევა. მეორე სართულის განაპირა შეტყუპებული ღიობები წრიულ თავსართებშია ჩასმული, რომლებიც გვერდიდან ორმაგი პილასტრებით ისაზღვრება.





ასევე უხვად არის დეკორირებული პირველი სართულის საფასადე სიბრტყე, მოცულობითი რუსტირებით. ნაგებობა გამოირჩევა ჯავახიშვილის ქუჩის განაშენიანებაში მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულებით.

შემდეგი შენობაა ივ. ჯავახიშვილის №60, ორსართულიანი, XX საუკუნის დასაწყისის კონსტრუქტივისტული არქიტექტურის ნიშნების მქონე უსტატუსო ობიექტი, რომელშიაც უკანასკნელ დრომდე შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ფუნქციონირებდა.



ობიექტს 2000-იან წლებში ჩაუტარდა რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც მას დაშენდა სხვენის სართული და შეიცვალა ღიობების აუთენტური ალათები.



ივ. ჯავახიშვილის №62 მიწის ნაკვეთი უშუალოდ ემიჯნება ზემოთ აღწერილ შენობას. სავარაუდოდ, ეს ერთსართულიანი მაღალი სხვენით დახურული რულარული ტიპის ნაგებობა გერმანული კოლონიის დროიდან არის შემორჩენილი, თუმცა მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულება ნაკლებად აქვს.



ერთსართულიანი შენობის ფანჯრებით თითქმის მიწის პირზეა დასმული. სახლის მთავარი “ფასადი” ჯავახიშვილის ქუჩის განაშენიანების ხაზშია განთავსებული, ხოლო მის გასწვრივ ეზოს მომსაზღვრელი ღობე და ჭიშკარი ვითარდება.



ვრცელი ეზოს ფარგლებში საკვლევი ნაგებობა გრძივად ვითარდება ერთსართულიანი ნაწილის, რომელიც ეზოს მხარეს მიმართული ხის შუშაბანდებით ხასიათდება.







ამავე ეზოს სიღრმეში კიდევ ერთსართულიანი ცალკე მდგომი შენობა დგას, რომელიც იდენტური არქიტექტურული ფორმისაა, როგორიც ძირითადი შენობა, ხოლო ჯავახიშვილის №60-ის შეულესავი აგურის ტორცოს კედელზე სასაწყობე ტიპის მოცულობაა მიშენებული.







დასკვნა-რეკომენდაცია

ივ. ჯავახიშვილის №62 ერთსართულიანი რულარული ტიპის ობიექტი არ შეიცავს მხატვრულ-არქიტექტურულ ღირებულებას, თუმცა სავარაუდოდ, გერმანული კოლონიის დროინდელია, ანუ იმ პერიოდის, როდესაც ივ. ჯავახიშვილის ქუჩის განაშენიანება კერძო ტიპის საცხოვრისებს წარმოადგენდა.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მიკროუბანში ვითარება მკვეთრად იცვლება, მით უფრო კათოლიკური ეკლესიის აგების შემდგომ და მიმდებარე ნაგებობები უკვე სამ-ოთხსართულიან ამპირული სტილის განაშენიანებას წარმოადგენს.

ამ კონტექსტის გათვალისწინებით, ვფიქრობ, შესაძლებელია არსებული დეგრადირებული ნაგებობების დემონტაჟი და მათი ჩანაცვლება თანამედროვე არქიტექტურით. ამასთან გასათვალისწინებელია შემდეგი რეკომენდაციები:

- ახალმა მოცულობამ არ უნდა შემოიტანოს დისონანსი ამ მიკროუბნის მხატვრულ ღირებულებაში.
- მასშტაბი ახალი მოცულობისთვის შესაძლებელია იყოს არსებითად მეტი არსებული ერთსართულიან ობიექტებზე, თუმცა, თანაფარდი მიმდებარე ისტორიულ განაშენიანებასთან - კერძოდ, ჯავახიშვილის №60-ის სიმაღლესთან.
- საშენ მასალად ახალი მოცულობისთვის ვფიქრობ, სასურველია ისტორიულ უბნანთან ისეთი თავსებადი მოსაპირკეთებელი მასალის გამოყენება, რომლებიც საერთო ხედზე ორგანულად ჩაეწერება აგურით ნაგები შენობების პანორამაში და იმავდროულად იქნება განსხვავებული მათგან.
- ახალი არქიტექტურული ობიექტის იერსახე უნდა იყოს მაქსიმალურად სადა, ფონური მიმართების ვიზუალურ სივრცეში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების აღქმის არეალის გათვალისწინებით.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი